№ 154

1877—1898

№ 154

კვირა, 19 ივლისი, 1898 წ.

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—11)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ: ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლადამთავრებული სიმონ მერაბის ძე კვიტაშვილი—უმცროს კანდიდატად სასამართლოს თანამდებობაზედ ქუთაისის ოლქის სასამართლოში; აზნაური დავით ადამია—თიონეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად და ქრისტეფორე ტროპაიძე—სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ: სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელე, კოლეჟსკი სეკრეტარი მიხეილ მენთეშაშვილი—მანგლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონები ტფილისისა—ივანე გაჩეჩილაძე და თელავისა—ივანე ხელაშვილი—პირველი—ტფილისის ქალაქის მესამე საფოსტო განყოფილებაში, ხოლო მეორე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა დაავალა საგანგებო საქმეთა მოხელეს თავ. ა. ბებუთოვს სახლოსნო გამგეობის ფულის დავთრებისა და იმ საჩივრების განხილვა, რომელიც სახლოსნო გამგეობის მოხელეთ წარუდგინეს გუბერნატორს და ამბობდნენ, რომ ჯამაგირები არ გვეძლევაო.

⁂ 26 ივლისს უნდა მოხდეს არჩევანები მოქალაქეთა მამასახლისისა, ხაზინადრისა და მათის კანდიდატებისა, აგრეთვე მოქალაქეთა საზოგადოების 100 დეპუტატისა. არჩევანები იქნება სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში.

⁂ ქალაქის გამგეობის განკარგულებისამებრ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებამ რამდენსამე ვაგონს ფარდები გაუკეთა დასაჩრდილებლად, რადგანაც ამ უკანასკნელს დღეებში ისეთი სიცხეები დადგა ტფილისში, რომ რამდენსამე კაცს მზემ დაჰკრა და ავად გახდნენ.

⁂ პირველ აგვისტოს ტფილისის სამღვდელოება ლიტანიით წავა სამხედრო ტაძრიდგან მდ. მტკვარზედ წყლის საკურთხებლად. ამისათვის ქალაქის გამგეობა გუშინვე შეუდგა მადათოვის კუნძულის ნაპირას მდინარეზედ შესაფერის ფარდულის აგებას.

⁂ 15 ივლისს, დასრულდა საპედაგოგიო კურსები, რომელიც სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლებისათვის იმართებოდა. 15 ივლისს, პარაკლისის გადახდის შემდეგ სიონის ტაძარში, მასწავლებელნი სემინარიის დარბაზში, სამოსწავლო საბჭოს წევრთა თანადასწრებით, გამოსცადეს ქართულ და რუსულ საეკლესიო გალობაში. ყველანი კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ. ლოტბარობის ხარისხი მიიღეს: ნაზაროვმა, მ. პარკაძემ, ხუციშვილმა, ციცქიშვილმა, მარიამ ბარნაბიშვილმა, ვ. იგნატკოვიჩმა და განიცევმა. გამოცდის შემდეგ სადილი იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრო 80 ქალი და კაცი. მეორე დღეს, 16 ივლისს, მასწავლებელნი მცხეთაში წავიდნენ მცხეთის ტაძრის დასათვალიერებლად, საიდგანაც იმავე დღეს დაბრუნდნენ და წავიდნენ თავ-თავისს სოფლებისაკენ.

⁂ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ვითომ ამ დღეებში ალაი-ბეგ მურსაკულოვის ყაჩაღთა ბრბო კოჯორში მისულა, თუმცა მათ იქ არავინ გაუძარცვავთო. ამისა გამო ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ საჩქაროდ ტფილისიდგან კოჯორს პოლიციის ბოქაული ფირუმოვი გაჰგზავნა საქმის გამოსაძიებლად.

⁂ პარასკევს, 17 ივლისს, შუაღამის პირველ საათზედ საანატომიო თეატრში, რომელიც მიხეილის საავადმყოფოშია, პოლიციამ მოიტანა ეტლით გენერალ ლიხოტინსკის შვილის ვასილის გვამი. ლიხოტინსკის

ფელეტონი

ნაწყვეტი

ის რა კაცია, ის არის
კაცისა მხოლოდ აჩრდილი,
ქვეყნისა ბარგი, ცოცხლადვე
მკვდრებში ჩარიცხულ-ჩათვლილი,
ვინც რომ ცხოვრების ტალღებსა
მედგრად არ შეებრძოლება,
ქედსა მოუხრის, თაყვანს სცემს,
პირუტყვებრ დაემონება
და თანვე თვის ბედს ემდურის,
ჰგმობს წუთი-სოფლის ბრუნვასა,
სიკვდილსა ჰნატრობს, საზღვარი
არა აქვს იმისს ჰმუნვასა!..

ვ. რ.

◆ ◆

ელია

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

— ჰა, ელიავ, დაარბენინებ-კი ეურემს და ნეტა ვის ბეგარაზედ მიეჩქარები!?

— რა, კამეჩები ვერ გაუჩრიან!.. ბეგარაზედ-კი არა, მაგას სხვა რამ ჰწადიან და იმიტომ დარბის ეგრე გაჩქარებული.

— ღმერთი მაგას გაახრებს... აქ მე კი ჩამომეხსნას და აგერა, ცოტა ადგილია რა, ვერ დაუტევს, მე ვიცი, ნემსეების *) მინდორი!

— ეგრე ხო არ არი, იაკო, როგორც შენა გწადიან: იქ რო წავიდეს, განა იმათ პატრონს-კი კაი დღეს დააყრის რა?

— მე რა, საცა უნდა დაიღუპოს. იმათ სხვაც ბევრი დარჩებათ. მე, აგერა, სამი წელიწადია შავყურებ, თუ წელსაც ცარიელი დავრჩი, შენი მტერი, დავიღუპები!..

— ჰო, შენ ეგრე ცარიელი სიტყვით მაიშორე და მე ვიცი როგორც თავს დაგანებებს ისა. თუ ჭკვა გაქვს, არ გააჯავრო ელია, ციკანი დაუკალ, თორე ისე ასტყდა წრეულსა, რო არ მოგეშვება, სანამ რასმე არ გიზამს. აბა უყურე ი ღრუბელს, როგო მოდის ზევით... რას გაჩუმებულხარ, კაცო, ერთი ციკანი არ არი?..

— ციკანი-კი არა, ღმერთი მაგას გაატიალებს... ხბოსა თხოულობსო... თუ-კი ციკანს დამჯერდება, დღესვე დაუკლამ.

— ვილანა თქო, რო ციკანსა თხოულობსო?—ციკანი არ ვარგაო? ჰა, იაკო! ელიასთვის ხო არ უწყენია ციკნის ხორცსა? იქნება ბევრი მჟავე მოუვიდა „პოვერს“ და იმან უყო?

— აი შენ ეგრე იცინე და ნახამ თუ რა ქნას! ემდე სუ ეგრე იცით ხოლმე, შვილო, სიცილი და აკი არც გვეხსნება.

— მე რა, მე ხომ იმაზედ არ ვიცინი... ელიას რო უთქომ, ხბო მინდაო, ვილასთვი შაუჩივლია?

— აბა ლაზარე ალაპარაკე... წელან იმაზე არ მელაპარაკებოდა, სიზმარში ელია ვნახეო და ესე მითხრაო: ციკანს ნულარ დამიკლამთო, ესე უთქომ, ხბო დამიკალითო, ან იმისთანა კარგი რამეო, ციკანი არ მინდაო.

— ვინ ლაზარე, იაკო, ე კოჭლი ხო არა?

— ჰო, ე ჩვენ კოჭლს უნახამ წუხელ სიზმარში: ერთი შავწვერა კაცი მოსულა, გამოჰცხადებია, ხელშიაც რაღაც ჰჭერია და უთქვამს: „ე მე რო მემდურითო, რო ქვეყანასა ვღუპამო, მე-კი არა ვარ თქვენი დამღუპავიო, აი ეს არიო, და ერთი კაცი უჩვენებია, ელიას უკანა მდგარა თურმე, რაღაც ჭრელი ტანისამოსი ჰცმია, აი ესე სარტყელზე სუ რაღაც ჰქონია შემორტყმული გველივით და ისეთსასა ბჭყვრიალებდაო, რო ძაანა თურმე, იმაზე უჩვენებია, აი ეს არი თქვენი დამღუპავიო, მეკი არაო, მე ელია ვარო, ციკანს, უთხარი, ნულარ დამიკლამენო, ციკანი ეშმაკისაო, მე ხბო დამიკალითო, ძროხაო, ან იმისთანა კარგი რამეო... ციკანი მე რათ მინდაო“:

მერე და, ექამდი ველარ მოვიდა ი ელია და ველარ გითხრა: ციკანს ნულა დამიკლამთო, ხბო დამიკალითო, რაღა ი კოჭლი ლაზარე მონახა იმანაც! მღვდელი აღარსად იყო, ან ბლაღოჩინი?

— ჰო, შენ ეგრე იცინე, ხვალე კიდე შენ გამოგეცხადება აი!.. ლაზარეს რატო ეგრე უყურებ, შარშან ცა რო გაიხსნა და ანგელოზები რო ნახა და რაღაცაები, ის რაღა იყო. თუ ეგ ერთი იმისთანა რამე არ არი, მაშ რატო სხვამ აღარა ნახა!? მაგრამ ღმერთმა ყველაფა იცის... ეიიი!.. ძალიან გაიცინე, შენმა სიცოცხლემ, არა და შენ გეტყვის ღმერთი თავის გულის პასუხს აი! აბა რას იკრიჭები? რაც რამ მოგვდის, შვილო, ემდე სუ ე შენისთანაებისგან მოგვდის, კიდევაც ცოტაა. როგო აღარა გჯერათ რა! აგერა იმ დღეს რო სოფლებში სეტყვა მოვიდა, ის ვილას ბრალი იყო, ის კი ელიასი არ იყო? ეიიი! რას იკრიჭები კვიცივით!?. ჰო, ელიას ბრალი იყო-მეთქი! მა ამ სოფლებს რო ამოჰყვა ქვევიდამ, დააკრა და წამოვიდა, წინ რო კაცივით მოუძღოდა, ყველა სოფელში რო მიიყვანა ი სეტყვა, მა ის რა იყო? ვინ იყო? ელია არ იყო?!. ელია იყო!.. არა ის ჩვენ არ მოგვისვენებს, მანამ მართლა ხბოს ან დეკეულს არ დაუკლამთ. ციკანი რა არი? ციკანს წყალში დამხჩვალს დაუკლამენ ხოლმე, ციკანი ეშმაკისაა.

— მერე, შე საწყალო, გაქვს თავი? ციკანიც ვერ დაგიკლამს, პური გენატრება სახლში და ახლა ხბოზე ირბინე.

— აი, თუ დამეხსნებააა... მე ვიცი რასაც დაუკლამ, მაგრამ...

— მაგრამ რა, იაკო?!

— რაა და... არა გყავთ-რა ისეთი გასასყიდი?

— რა იაკო?

— რა ვიცი, ან ხბო... დავიწერამ შამოდგომამდის...

— რას ამობ, კაცო, ჩვენ რაღა ხბო შაგვრჩა, ან ძროხა. რა გვყავს! ერთი უღელი ხარიღა გვიგდია, ისიც მამაჩემი ამობს: შამოდგომაზე ერთი ხატში უნდა დავკლაო. ის კუდიანი ნინუა მკითხავი როა გაღმა უბანში, ისა გვღუპამს და მამა ჩემს ვერა გავაგონე რა! იმდენი საქონელი გვყავნდა: ორი ძროხა, ყევარი ხარი და სუ გააწყო. დააყენებს ხატის ზვარათ, წაიყვანს ხატობას და გამოჭრის ყელსა. თუ მუდამ წელიწადს არ დააკლო რამე, არ შეიძლება!

---

*) ნემენცები.

რევოლვერის ტყვია მარცხენა ძუძუსთანა აქვს მოხვედრილი. იგი ტეხნიკოსი იყო ამიერ კავკასიის რკინის გზისა და სადგურ ხაშურში სცხოვრობდა. ამ დღეებში ტფილისს ჩამოსულა და პარასკევს მთვრალი მისულა სტუმრად ლისოვსკის სახლში, რომელიც ფალავანდოვის ქუჩაზეა, ავლაბარში, საიდგანაც პოლიციას წამოუღია მისი გვამი.

⁂ როგორც უწ. სინოდის ობერ პროკურორის ამხანაგის ვ. კ. საბლერის მიერ გამოგზავნილ დეპეშიდგანა სჩანს, ქვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი კირიონი დაუნიშნავთ ალავერდის ეპისკოპოსად, საქართველოს ეპარქიის მეორე ვიკარად, ხოლო ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი სერაფიმე ოსტროგოჟის ეპისკოპ სად. ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორს არქიმანდრიტს ჰერმოგენს, ამავე სემინარიის რექტორობას აძლევენ, ხოლო ინსპექტორად გადმოჰყავთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იერ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე). ამასთანავე ხმა დადის, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მღვდელი, მამა დავით ბერძნიშვილი ბერად აპირობს აღკვეცას და ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვრად ჰნიშნავენო.

⁂ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ს. პ. გლაზენაპს, რომელიც მიწად-მოქმედების მინისტრმა კავკასიის მეფუტკრეთა მომავალი კრების თავმჯდომარედ დანიშნა, აზრადა აქვს ტფილისში ყრილობის დროს 15—18 აგვისტოს წაიკითხოს ლექცია საქველ-მოქმედო აზრით. პატივცემული პროფესორი წაიკითხავს ლექციას მარსისა და იმის თანამოგზაურის შესახებ. შემოსავლის ნახევარს ლექტორი გადასდებს ზოგიერთის სასწავლებლის სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნახევარს კავკასიის ოლქის მზრუნველს გადასცემს სასწავლებლების სასარგებლოდვე.

⁂ რადგანაც ყველა ქრისტიანეთა ეკკლესია განთავისუფლებულია ყოველგვარ ხარჯისა და გარდასახადისაგან, ამისა გამო რამდენისამე ეკკლესიის მნათე შეეკითხა ბ-ნს გუბერნატორს, აგვიხსენით, ეკკლესიის წინ და გარშემო ქუჩები ვინ უნდა დაასუფთაოს, ქალაქის გამგეობამ, თუ ეკკლესიამ თავისის ხარჯითაო.

⁂ მეორე განყოფილების მომრიგებელმა-მოსამართლემ გაარჩია რამდენიმე საქმე ქალაქის გამგეობის მიერ შემდგარი ოქმებით და ფქვილის ვაჭარ ვაგანიანცსა, რომელსაც საწყობი თამამშოვის ქარვასლაში აქვს, უვარგისის, მწარე ფქვილის გაყიდვისათვის 150 მან. ჯარიმა გადაუწყვიტა; ყასაბ ჰამზოვს გარდაუწყვიტა 100 მან. ჯარიმა, რადგანაც ასუნიანებული ხორცი გაუყიდნია; მეფურნე სეროფ პოლოს-ოღლის — 25 მან. პურის ცუდად გამოცხობისათვის; გეურქ სტეფანოვს, ფქვილის ვაჭარს — ხუთი თუმანი.

⁂ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში ისყიდება ოდესაში ფოტოტიპიის შემწეობით დაბეჭდილი დ. ყიფიანის ახალი სურათები დიდი და პატარა. პატარა ღირს ერთ შაურად, ხოლო დიდი 30 კაპ.

⁂ თავ. გ. ა. შალიკაშვილისა და ივ. ის. მამაცაშვილის საქმე, რომელთაც სად. სკრის ჟანდარმი ხოვსუნი დასჭრეს, ამ დღეებში გამოსაძიებლად გარდაეცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ე. ა. რიბინსკის, რომელიც საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად მიდის სკრაში. ბრალდებულნი დაპატიმრებულნი არიან ტფილისის მეტეხის საპატიმროში.

⁂ პარასკევს, 17 ივლისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ, ბრალმდებლის განაჩივრებისა და ბრალდებულის სააპელაციო საჩივრისა გამო, განიხილა თავ. ი. დ. გურიელისა და ირ. თავართქილაძის საქმე, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ თავ. დავ. გურიელის მოკვლა განიზრახესო. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაამართლა თავ. ი. დ. გურიელი და ირ. თავართქილაძე და დამნაშავედ იცნო სტეფანე გურგენიძე, რომელსაც ციმბირში გარდასახლება მიუსაჯა. ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა განაჩენი თავ. ი. დ. გურიელისა და ირ. თავართქილაძის შესახებ, ხოლო სტეფანე გურგენიძეს, ციმბირში გადასახლების მაგიერ, საპატიმროში დაპატიმრება მიუსაჯა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ გუდაუთის ნაწილის უფროსი პორუჩიკი ჩიქოვანი, რომელიც გუდაუთშივე იქმნა დაჭრილი ბოროტ-მოქმედთაგან, თან-და-თან უკეთ ხდება. ტყვია უკვე ამოუღო მკურნალმა ბ-ნმა ჩუდნოვსკიმაო.

⁂ გაზ. „Сынъ От.“ სწერს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა გუბერნატორებსა და სხვა უმაღლესს ხარისხის მოხელეებს, რომ შეგვატყობინეთ, რა აზრისა ხართ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებაო. პასუხი უნდა გაგზავნილ იქმნას შემოდგომამდის, რადგან შემოდგომას შეუდგებიან ამ საქმის განხილვას.

⁂ ქ. თელავი, 16 ივლისი. კავკასიონის უმთავრესს მთა-გრეხილზედ ერთი ნამცეცი თოვლიც კი აღარ არის. ივლისის სიცხე-პაპანაქებამ სრულიად აილო და ძალზედ ჩამოცხა! თელავის ინტელიგენციას ვეღარ აკმაყოფილებს სეირნობით „გაქაჩლებული“ ბულვარი და ამიტომ გასაგრილებლად „ნადიკვარს“ მიჰმართეს. ეს ნადიკვარი უკეთესი სასეირნო ადგილია თელავში. ერთის მხრით ალაზნის ველი ხელის გულსავით მოსჩანს, მეორეს მხრივ გომბორის ცივი მთები, საიდგანაც მშვენიერი გამაგრილებელი სიო მოჰქრის. მაგრამ რა გამოვიდა, როცა ეს სასეირნო ყურ მიგდებულია, შემოუღობავი და პირუტყვების უწმინდურობით სავსეა. გარდა ამისა, აქვე ახლოს მრავალი ამყრალებული წყლის გუბეა, საიდგანაც ბაყაყების „კონცერტის“ ხმა ისმის. უკეთესს სასეირნოს მგონი ვერ მონახავდით თელავში, ცოტა მაინც რომ ეზრუნათ ჩვენ, „ქალაქის მამებს“ შემოღობისა და გუბეთა ამოშრობისათვის და საზოგადოდ რიგიანათ მოწყობისათვის, მით უმეტესად ჰღირს ამ სასეირნოსათვის ზრუნვა, რომ თელავს მომავალში, კახეთში რკინის გზის გაყვანის შემდეგ, მრავალი მოაგარაკე მოაწყდება. მოაგარაკეთა სიმრავლე ქალაქს დიდს სარგებლობას მისცემს და იქნება შემდეგ საბრალო მეურმეები აღარ შეეწუხებინათ შეშის ურმებზედ ბაჟის დადებით. თელავში გასასყიდათ მოტანილ შეშას სოფლელები აჩერებენ ყველასათვის უსარგებლო და გამოუსადეგარ რიყეზედ, მაგრამ მაინც ვერ ასცდნენ თელავის თვით-მართველობის სასარგებლოდ ბაჟის გარდახდას. ურემზედ ორ-ორს შაურს ახდევინებენ.

⁂ სოფ. ბრეთი, (გორის მაზრა). ოთხშაბათს, 15 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ ცეცხლი გაუჩნდა თავ. ქაიხოსრო ავალიშვილის სახლს და ორის საათის განმავლობაში სულ ერთიანად გადაიბუგა. ცეცხლი პირველად სათონეს გაუჩნდა, შემდეგ სახლს მოედო და ამასთან ერთად ულმობელმა ცეცხლმა ჰშთანთქა სამზარეულო, მარანი, ბეღელი საქათმე. დაიწვა მთლად სახლის ავეჯი და მოწყობილობა, წახდა ქვევრებში ღვინო, განადგურდა რაც რამ ფქვილი ჰქონდა, და ამ ნაირად ორს საათში ცეცხლმა ხელიდგან გამოაცალა თავადს რამდენისამე წლის ნაამაგდარი. ცეცხლმა ხეირი არ დააყარა იქვე მახლობლად მყოფს ბაღს და ხეხილი სულ ერთიანად შეტრუსა. ზარალი თითქმის სამას-ოთხას თუმნამდისაა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ, რომ ამ სამის დღის წინად კოჯრის მეაგარაკენი დიდად შეაფიქრიანა იქ გავრცელებულმა ხმამ, რომ გამოჩნდა ყაჩაღთა ბრბო, რომელიც 7 კაცისგან შესდგება და დათარეშობს ალიბეკ მურსაყულოვის მეთაურობითაო. ამბობენ, რომ თავით ფეხებამდის შეიარაღებული მურსაყულოვი თავის ამხანაგებით დღისით კოჯრის გზატკეცილის ზემო ნაწილში ჰნახესო. ზოგი იმას ამბობს, რომ ყაჩაღები დასასვენებლად ერთს ტყეში ჩამოხტნენ და როდესაც ტყის მცველმა სთხოვა, ტყიდგან წადითო, რადგან ჰშიშობდა, ტყეს ცეცხლი არ წაუკიდონო, ყაჩაღებმა ზრდილობიანად სამოვარი სთხოვეს ჩაის დასალევად, შემდეგ კარგად დაასაჩუქრეს ტყის მცველი და ტფილისისაკენ გასწიესო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ფშაველი, (თელავის მაზრა), 1 ივლისი. ძველს დროში ახლად ადვილი ასაშენებელი თუ იყო ეკკლესია-საყდრები საქართველოში, რომ ამდენს ნანგრევებსა ვხედავთ ახლა! ამ გარემოებას, ეჭვი არ არის, თავის დროის შესაფერი მიზეზები ექნება, რომლების ახსნა-გამორკვევა უკეთესთათვის დამითმია.. ახლანდელ დროში კი ერთის უბრალო საყდრის აშენება, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ომის გარდახდაა. ამის მაგალითები ცოტა არ არის და ერთი ამათგანი სოფ. ფშავლის ეკკლესიის დამთავრებაა. ამ სამრევლოში ოთხი ეკკლესიაც სხვა არის, სადაც შეიძლება მღვდელ-მოქმედების შესრულება, მაგრამ ამ სოფლის საკუთარი ეკკლესია-კი, ეს თხუთმეტი წელიწადი იქნება, გაუქმებულია სიძველის გამო. ძველის ეკკლესიის ნადგომზედ სოფელმა ახალი ააშენა, რის ვაი-ვაგლახით დაამთავრა და წელს 30 ივნისს აკურთხებინა კიდეც.

ვაი-ვაგლახითაო, ვამბობ იმიტომ, რომ ამ ეკკლესიის ხელ ახლად აშენების საქმეს ისეთი შემთხვევანი აჰკვია-

---

— მარა მეშველება! არ იქნება, თუ არ დაუკალ, დამღუპამს ელია. რო ჩამამეხსნას ელია და ცადა ღრუბელი დაუშვიდდეს, ორ საპანემდი ღვინო მამივა. ძაან ასხია! მე რომ წელან ქვევით ვიყავ, ასეთ უბან ვაზს მივადექ, რო თითო ვაზს ვერ გამოიტან, რო მოჰჭრა: გეგონება ძალით შაუყრიათ მტევანი ხელითაო; ნაწვენიტუკი როგორილაა და, ნახე, სუ წვის!.. ჰაი, თქვენ კი გენაცვალეთ, ვაზებო ძირში, თქვენა!... რაც მამივა, მამივა, საცა იქნება უნდა ვალი ავილო, ვიშოვო სადმე და ერთი კაი ხბო დაუკლა, თორე ეს მოსავალი რო ხელიდამ გამომაცალოს ღმერთმა, აქედამ აყრა მირჩევნია მაშინ. ჯერ იმ დღეს რა დღე დამაყენა ვანკამ და თუ წრეულსაც ვერ მოვიშორე, ქაღალდს აღარ გამომიცვლის და ამ ვენახს ხელიდამ გამომაცლის ნამდვილათ.

— აბა როდის იმ დღეს? ვინ რა დღე დაგაყენა?

— აი ე ყველივრებში... ვანკას ფული არა მმართებს.

— სადაურიდა იმ დღეს არი? მას აქეთ ხუთი თვეც იქნება და!

— ჰო და იმ დღეს არ არი, მარა არი!?

— მერე, იმისი როდის გემართა?

— როგორ არა.. ი გოგო არ გავათხოვე, იმაზე ავიღე.

— გოგოცა გყავს თუ? ჰა, იაკო! რატო მე არ ვიცოდი!

— გოგო იმასა და იმის თავსა.. ჩემ დედაკაცს არ მოჰყვა თანა, იმან არ დამღუპა და ჩამაგდო ვალში! მა მე რა მიჭირდა.

— დაიცადა, როგო? იმან როგო ჩაგაგდო ვალში?

— როგო და, ი რო გავათხოვე, ნათლიისათვის ვერცხლის „ტაქანი“ ვანკას გამოვართვი, ხუთი მანეთი დავიწერე იმისი; მერე ვეღარ მივე, დარჩა და რო მიანგარიშა, თხუთმეტი მანეთი შამიყენა. იმაში სამი ჩაფი ღვინო მივე და წლამდის კიდე დავიწერე, ვეღარც ის მივე და ქაღალდი რო გამოუცვალე, სამი თუმანი, სამი მანათი და ექვსი შაური ღამაწერა, ახლა კიდე საყველივროთ მიანგარიშა და ექვსი თუმნის ვექსილი დაუწერე, სარგებელიც ზედ მივიდა, პირობის ქაღალდიც მივე ექვსი თუმნისა „ნეუსტოიკასი“, თუ ვერ მოგცე მეთქი ვადაზე, მაშინ სხვა ექვსი თუმანი გადავიხადო მეთქი, ვექსილ გარდა. თუ აილო ხელი ჩემზე ღმერთმა, მაშინ, ეს ვენახი „ზალოგათ“ უწერია, ხელიდამ წამივა.

— ხელიდამ წაგივა-კი არა, აი ის არ გინდა... მეორე და, შე კაი კაცო, მაგთენი რო მაგროვე, არ იცოდი, რო გაგიძნელდებოდა მიცემა?

— განა არ ვიცოდი. აქამდისაც მივცემდი, მაგრამ ღმერთმა დაღუპოს ჩვენი „ბორჩიკი“, იმის საქმეა სულა: ქაღალდი იმან გააკეთა... მივცემდი სარგებელში ღვინოს და ანგარიშის დროს ისევ იმდენი გამოჰყვანდა. ახლა მეც აღარ მახსოვდა, რამდენი მემართა ხოლმე, რასაც ქაღალდი ამბობდა, ის იყო. რა ვიცი, ცოტას დავიწერდი ხოლმე, მაგრამ ანგარიშში მეტი გამოდიოდა!..

— შე კაი კაცო, იქნებ შენც ისე გიშვრებოდა ვანკა, როგორც ჩვენ ბიჭს უყვეს: ცხრა მანათის მაგივრათ რო ცხრა თუმანი ჩაუწერეს თამასუქში და ბოლოს ხელი რო აალებინეს თავისს ცხვარზე. არ გახსოვს, როგორ დაღუპეს ბიჭი?!.

— როგორ არ მახსოვს. რა ვიცი, იქნებ ეგრეც მიშვრებოდა, მარამ ი ქაღალდი რო არას ამბობდა“...

— შე საწყალო-და, ეგეც არ იცი, იქნებ ხუთი მანათის მაგიერ ხუთი თუმანი ჩაგიწერეს, ქაღალდიც იმას იტყოდა?! მერე კითხვაც არ იცი, რას გაუგებდი!..

— ხელს მივცემდი „ბორჩიკს“ და ჩემ მაგიერ აწერდა ხოლმე, რა ვიცი... ჰო და, შენ ეგა თქვი და, როგორი „ჰტუკა“ გამოდის!..

— ეგ-კი არა, შენ ერთი ამ წვიმას უყურე და, ქვემოთ, რა რიგ დაასხა!

— გააბა, ამ დალოცვილმა, და მგონი ამ მთვარემ ესე გაიაროს. აღარ გამოიდარა კია და.

— ყანებს გაგვიფუჭებს, თუ მართლა არ გამოიდარა ჩქარა.

— რა ვიცი, ე დალოცვილ ცას რაღა ატირებს, ჩემსავით ხარჯს ხო არა ჰთხოვენ, ან მოვალეები არჩობენ! ეს ორი კვირაა ძალზე იცრემლება.

— ჰო და, იქნება ზეკუციაც ჩაუყენეს!

— ზეკუცია-კი არა და, ერთი ამ უპატრონო ღრუბელს უყურე, პირდაპირ აქეთ არ მოდის ეს წყეული!.. სეტყვისაა... გაღმა, გაღმა გადი, ხევებისკენ, გაღმა!.. ღმერთო, არ დამღუპო, ღმერთო, მიშველე! წმინდა გიორგი, შენ შემეწიე! ჩემო სალოცავებო!.. ნემსეებისკენ, შე გზა-დაკარგულო, ნემსეებისკენ, ელიავ!

— შინ შამო, იაკო, აქ მეხი არ დაგვეცეს ერთბაშად, რა რიგათა ქუხს!.. უუუ!.. რა რიგათ დაიჭექა ამ უპატრონომ! მგონი სიმინდებში ჩამოვარდა აი!

— ღმერთო, დამიხსენ, ღმერთო! ეს ოხერი რას ატყდა ესე!.. ჰა, ელიავ! შენ იცი და შენმა ძალამ, თუ დამეხსნებიიი!.. ღმერთო, მიშვე... ვაიმე დაღუპულო თავო, ვაიმე!!.

— დედაააავ!.. ეს რამოდენეებს ისვრის ეს უპატრონო! იაკო, იაკო, შინ შამო, ე თავი არ გაგიტეხოს სეტყვამ!.. შამო, კაცო, რას უდგეხარ ე გარეთ! აჰაი, გაგატიალა ღმერთმა, კაი დროს შენ მოხველ, შე ტიალო, შენა! .

— შე დალოცვილო ღმერთო, რა დაგიშავე, რა დაგიშავე, რაზე მღუპამ!.. დათიავ! საყდარი*) გაქვს, თუ რაღაცა ხატებია, გამაიტა, მალე წაიკითხე, აგებ დაიღუპოს აქედამ ეს შაჩვენებული!.. ვაიმე დაქცეულო სახლო და კარო! . ვაიმე შვილებო!.. ვაიმე ჩემო ვაზებო და დაკარგულო ვენახო?!..

— ნუ გეშინიან, იაკო, მალე გადაიღებს, კაცო!...

— ვაჰი, ელიავ, რაზე დამღუპე, დაგექცეს ოჯახი!!.. კისერი მოგტყდეს, ლაზარე, პატარა ადრე განახა სიზმარი, შე ჩემი ცოდვით სავსე!!!..

ანბანი

---

*) ლოცვანი.

ტა, რომ უდრტვინველად და უსაყვედუროდ ხალხის მხრივ მისი აშენება და კურთხევა ყოვლად შეუძლებელი იყო!

პირველად, როცა ძველი ეკლესია, თუმცა-კი დაზიანებული, ისევ მდგარა, მთავრობისაგან გამოგზავნილ ხუროთმოძღვარს დაუთვალიერებია ეს ეკლესია და გაუუქმებინებია, როგორც საშიში და უვარგისი.

სწორედ ამ დროს შენდებოდა სოფლის სკოლის შენობა, რომელიც ცოტა ხარჯს არა თხოულობს სოფლისაგან. სკოლის შენობის დამთავრებას მოჰყვა ახალის ეკლესიის შენება, რომელსაც სკოლის შენობაზედ გაცილებით ბევრი ხარჯი უნდება. ჯერ არ იყო დამთავრებული, რომ იჯარადარი მოუკვდათ. ესეც არა მცირედი დაბრკოლება იყო. სხვა კალატოზს დაამთავრებინეს და თან დაატანეს: სკოლამა და ეკლესიამ გადაგვიტანაო!

დამთავრდა, როგორც იყო, და ახლა მისი კურთხევა შეიქმნა გასაჭირი. ხალხმა ითხოვა, რომ დიდმარხვისათვის ეკურთხებინათ, მაგრამ არ მოხერხდა. რაკი მათ სურვილს გარდასცდა, ხალხმა ახლა ის დაიჟინა, რომ შემოდგომამდე დარჩესო, უსუსურობაა, ხარჯის გაწევის თავი არა გვაქვს, სტუმარსა და ნათესავს შესაფერად ვერ დავხვდებითო, შემოდგომა კიდევ ღონიერია, ან შეჰრი მოგვივა, ან ღვინოო.

დარჩენით-კი არ დაანარჩუნეს და რომ ხალხი უზომო ხარჯს ასცდენოდა და ამით არ შეწუხებულიყო, მ. ბლაღოჩინმა თითქმის ჩუმად მოახდინა მისი კურთხევა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხმა სწრაფად ჰმოქმედობს. კიდევ საკმაოდ შეგროვდა ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდგან, რომლის გამასპინძლება სოფ. ფშავლის აუცილებელი ვალი იყო.

ეკლესიის კურთხევის დროს ადგილობრივმა მღ. ღ. ბერიევმა დაახლოებით შემდეგი სიტყვა უთხრა ხალხს:

წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა შევესწარით დამთავრებას და კურთხევას ამა ეკლესიისასა. ყველა აქა მდგომარე მხიარულობს და უმეტეს ფშაველები, რომ მათი შრომა და ამაგი კეთილად დაგვირგვინდა. ახლა რა უნდა ვქნათ? როგორ უნდა მოვეპყრათ ამ ღვთის სახლს? მეტმა ნაწილმა იცით, რომ ეკლესია არის საზოგადო სამლოცველო სახლი ქრისტიანთათვის. ადამიანი სახლს აშენებს, ეზოს იზღუდავს იმიტომ, რომ შევიდეს შიგ და იცხოვროს ხორციელად. ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც ამ სახლის მიმართ სულიერად. ჩვენს სულს ღვთისაგან აქვს მინიჭებული საზრდოდ ღვთიური სწავლა საცნობელად ღვთისა, მოყვასისა და თავისის თავისა. აი, ამგვარი სწავლა ამ სახლიდგან გამოვალს, აქ გავიგონებთ იმას, თუ რომ თავისს დროზე ვივლით ეკლესიაში და გულ-მოდგინეთ მოვისმენთ ქრისტეს მცნებას. თუ კაცი მართლა გულდადებით ისმენს ეკლესიაში წაკითხულს საღმრთო ლოცვა-საგალობლებს, სახარებას, სამოციქულოთ და საწინასწარმეტყველოთ, უეჭველად მიიღებს დიდს სულიერ კმაყოფილებას. ერთად-ერთი ადგილი ღვთის მისამართად ჟამსა ჩვენისა მწუხარებისასა, გინა სიხარულისასა, არის ეკლესია. რომელს უდიდესს სიხარულს ვიტყვით, რომ ეკლესიას არ მივმართოთ და იქ მადლობა არ შევწიროთ მეუფეს? აგრეთვე, რომელს უკიდურესს მწუხარებას გავიხსენებთ, რომ ისევ ეკლესიას არ მივმართოთ ნუგეშინის საცემლად? დიდი ხანია, ეკლესიამ მოსპო ყოველივე კერპული ჩვეულება: იგი არაფერს მსხვერპლს არა თხოულობს ჩვენგან, მეტადრე საკლავს, გულის წმიდით ლოცვა-ვედრების გარდა. ჩვენ-კი ჩვენსას არ ვიშლით, ვიღაც მატყუარა, ეშმაკის კერპ მონა-მისნების თქმით, ზედ ეკლესიის კარებზედ ვხოცავთ ძროხებს, ცხვრებს და სხ. მაშინ, როდესაც უმჯობესია, თუ არ დაგვიშლია, მათ წილად მცირე რამ ფულად შევწიროთ ეკლესიას საკეთილო-საქრისტიანო საქმეთათვის. ეკლესიის გარეშე ჩვენ ღვთის ნებას ვერავინ ვერ გვამცნევს, ვერა და ვერა! ამიტომაც ამბობს იაკობ მოციქული: „უძლურ თუ ვინმე არს, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მას ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული და აღადგინოს იგი უფალმან და, თუ ცოდვა რაიმე ექმნეს, მიეტეოს მას?" ესრედ, ყოველნო ქრისტიანენო! ვისურვებ, რათა საბედნიეროდ და საცხოვნებლად სულთა ჩვენ ყოველთა იყოს აღშენებული და მადლითა ღვთისათა განწმენდილი ეკლესია ესე აწ და მარადის უკუნისამდე.

ფშავლიშვილი

◆

სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

მიყუჩებულ-მილურსმულია ტფილისი. მეტივეების საქმე ცოტად თუ ბევრად მათდა სასარგებლოდ გამოირკვა და ბაქის მომხრე გაზეთებმა უმსგავსად არატრატებული ენა მოიკვნიტეს. ასე წარმოიდგინეთ, საბალონნო სკოლის შესახებაც-კი აღარა ისმის-რა, იმ სკოლისა, რომლის ზოგიერთი მოსწავლენიც გამოუძიებლად, საქმის გამოურკვევლად, მართლისა და მტყუანის განურჩევლად ექსორია ქმნილ იქმნენ ქალაქიდგან. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მადიანი მოხელე ბ-ნი კუზანოვი კვლავ არხეინად დასეირნობს, მისის საქმის შესახებ ბზუილიც-კი არ ისმის. ჩამი-ჩუმი არაფრისაა, ყველა სიგრილეს ეტანება, გარედგან აჭერს ადამიანს სიცხე და რაღა დროს გულის გაფიცხებაა. ან ვინ გაიფიცხოს გული, როდესაც ინტელიგენცია მიფანტულ-მოფანტულია?.. მარტო პოლიცია და სახლის პატრონები ებრძვიან ერთმანეთს ქუჩების დაგვა-დაწმენდის გამო.

ტფილისს სძინავს... გორი ხვრინავს... თელავი ნადიკვარზედ დასეირნობს და „თამარ ქალო"-ს დაჰღიღინებს. ქუთაისი... ოჰ, ქუთაისს-კი, ნურას უკაცრავად, არა სძინავს. ქუთაისს თავისი ინტელიგენცია თავადვე ახლავს და დიდს ჩოჩქოლშია. წრეულს საქალაქო არჩევანებზედ ქუთაისის ინტელიგენციამ გაიმარჯვა, ბუკი და ნაღარა დაჰკრა გაზეთებში, რომ ეხლა-კი ცუდად არის ლოლუას საქმე და შვიდი ფუთი წებო და ათასი გირვანქა სამ-ადლიანი ლურსმანიც ვერ დაიმაგრებს სამოურავო სავარძელზედაო, მაგრამ დადგა 12 კვირიკობისთვე და ინტელიგენციის მიერ ესოდენ ათვალწუნებულმა ლოლუამ ხმოსნებს მიულოლიავ-მოულოლიავა და სალოლიავო ლელო თვითვე გაიტანა.

პირში ჩალა-გამოვლებული და ხახა გამშრალი ქიქოძისტები სდგანან ეხლა ერთმანერთის პირდაპირ, გაკვირვების ნიშნად ქცეულნი, და... მაგრამ არა, გაკვირვებისათვის სადა სცალიანთ, როდესაც მოედანზედ ორი მათგანი დასტაკებია ერთმანეთს და ამ სიცხეში მუშტებით აგრილებენ ურთიერთს.

ინტელიგენტი და მუშტიო! გაიკვირვებთ, თუმცა-კი არაფერი საკვირველია. ჩვენში ინტელიგენტი იგივე დაოქროვებული ვერცხლია, იგულისხმე ველური კაცი, გადაჰფხიკეთ სიყვითლე და თავს იჩენს ხელუხლებელი, ხალასი ბუნება ველურის კაცისა, რომლისათვისაც ვერც საშუალო და ვერც უმაღლესს სასწავლებელს ვერა დაუკლია-რა. ერთს ქართულს პიესაში ქმარი ეუბნება გაკაპასებულს ცოლს: „დედაკაცო, დაწყნარდი, თორემ სიყვარულს იქით გადავდებ და ერთი ლაზათიანად მიგზურგავო". ამ გვარადვე ეხლანდელს ინტელიგენტს თამამად შეუძლიან სთქვას: „ინტელინგენტობას იქით გადავდებ და ერთი კარგად მიქსი ლაქავო!" და გადასდებს კიდეც, გადასდებს, რადგან იგი ინტელიგენტობა შესისხლ-ხორცებული, შეთვისტომებული-კი არა აქვს, არამედ ისე აგდია ზურგზედ, როგორც ქართველს მეცხვარეს ნაბადი!..

საზოგადოდ ყბად ასაღებადა და წყალ წასაღებად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენში, სამწუხაროდ, ინტელიგენტობა ძალიან გაიაფდა და აღარა ჰღირს „არცა ჩირად". ვისაც ანბანა და „უფალო, ღმერთო" უსწავლია, ყველას ინტელიგენტად მოაქვს თავი. ერთი საანგარიშო ჩოთქზედ აღსარიცხავს ანგარიშს მუშტით ასწორებს—ინტელიგენტია, მეორე —ამსამარცხვინომუშტების ბრაგა-ბრუგს სამართლიანსმოქმედებას უწოდებს, ისიც ინტელიგენტია და ინტელიგენტთა ინტელიგენტიც-კი, მესამე—ქრთამსა და ბეზღობას ეტანება და თავისს თავს ინტელიგენტს ეძახის. ამას წინად ერთი ქალი გამაცნეს, რომლის გვარსაც დაბოლოვება „ძე" ამშვენებდა და რომელსაც ორი გასათხოვარი ქალი ისე წამოეზარდა, რომ არც ერთმა ქართულისა არა იცოდა-რა; ისე ამტვრევდნენ ღვიძლს ენას, როგორი მტვრევაც „ჩირიმე" და „ბაკაკი კიკინებს" არის. როდესაც შევნიშნე ამ პატივცემულს ადამიანს ასეთის აღზრდის სიდუხჭირე და სიმახინჯე, მიპასუხა: „რა ვქნა, მე მინდა, ჩემი შვილები ინტელიგენტებად აღიზარდნენო!."

ხომ გაიგონეთ! ამას იქით წასვლა განა-ღა შეიძლება?! თურმე გადაგვარებასაც ინტელიგენტობა ეწოდება. დიაღ, სავალალო და სავაგლახოა, პოეტისა არ იყოს,—რომ

ერთბამად ფრინველს უწოდვენ
შავარდენსა და ძერასა,
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა,
ბულბულთა ტკბილად მღერასა,
ფარშავანგისა შვენებას,
ბუკიოტისა ბღვერასა!..

ჩიორა

◆

რუსეთი

—

განზრახვა აქვთ ყოველ იმ საერო სასწავლებელთან, სადაც არც მკურნალი ჰყავთ და არც ფერშალი, პატარ-პატარა სასკოლო აფთიაქები დააარსონ და აფთიაქებში მოათავსონ ისეთი უბრალო და ამასთანავე საჭირო წამლები, რომელთა ხმარებაც ადვილად შეეძლება ყველას. ყოველ აფთიაქს გაეგზავნება სახელმძღვანელო, რომელშიაც მოთავსებულ იქმნება დარიგებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იხმარონ ესა თუ ის წამალი და გაჭირვებულს როგორ უნდა აღმოუჩინონ დახმარება ავად-გახდომისათანავე.

— მომავალ 1899 წლის 1 ივლისს ქ. ვლადივოსტოკში დაარსდება უმაღლესი სასწავლებელი ინსტიტუტი, რომელიც მოსწავლეთ შესძენს სპეციალურ განათლებას. სასწავლებელს საგნად ექმნება ისეთი მცოდნე კაცნი მოამზადოს, რომელთაც სამსახური შეეძლებათ ყოველგვარ მთავრობისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებასა და მახლობელს სახელმწიფოებში. ინსტიტუტში მიიღებენ უეგზამენოდ ყოველს საშუალო სასწავლებელში სწავლადამთავრებულს. სასწავლებელს ოთხის წლის კურსი ექმნება და მეორე კურსიდგან დაიწყება სამი განყოფილება: ჩინეთ-იაპონიისა, ჩინეთ-კორეიისა და ჩინეთ-მონგოლიისა. სწავლის ფასი წელიწადში 50 მანეთი, 30 სტიპენდიანტი იქმნება და საერთო საცხოვრებელი ბინა. ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულ იქმნება ცნობილი სინოლოგი — ჩინეთის ენისა და სიტყვიერების მცოდნე.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა უწმიდესის სინოდის განაჩენის თანახმად წინადადება მისცა ბეჭდვითის სიტყვის მთავარ-სამმართველოს, განკარგულება მოახდინე, რომ საერთო ცენზურა დღეიდგან ნებას ნურავის მისცემს დაჰბეჭდონ ხოლმე ნოტებზედ გადაღებული საეკლესიო საგალობლებიო.

— განზრახვა აქვთ მომავალ შემოდგომას ხელ-ახლად გადაათვალიერონ პატარა მანძილზედ მატარებლებით სამოგზაურო ტარიფი, რომელიც შემოღებულ იქმნება მომავალ წლის პირველ იანვრიდგან.

— ამ ახლო ხანში ქ. მოსკოვს არსდება ინტელიგენტთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება, რომლის წევრებადაც უნივერსიტეტის პროფესორები, საშუალო სასწავლებელთა დირექტორები და სხვანი მსურველნი იქმნებიან. საწევრო გარდასახადი წელიწადში 3 მან. იქმნება.

◆◆

უცხოეთი

—

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. ვაშინგტონიდგან გაზ. „Herald"-ს დეპეშით ატყობინებენ: „რა ბედიც უნდა მოელოდეს კუბას, ფილიპს, კაროლინის და სხვა კუნძულებს, ამერიკელები, ყოველ შემთხვევაში პორტო-რიკოს შეინარჩუნებენ, რადგანაც მთავრობამ დაბეჯითებით გადასწყვიტა იქონიოს ერთი ისეთი კარგად გამაგრებული კუთხე, საიდგანაც შეიძლებოდეს სრული ბატონობა გაუწიოს ვესტ-ინდიის კუნძულებს, კარაიბის ზღვას და მომავალ პანამის არხს. ასეთ კუთხედ-კი პორტო-რიკო იქმნება. დღემდის ამერიკა უმთავრესს ყურადღებას შინაურ საქმეებს აქცევდა, იმისთვის გარეშე პოლიტიკა თითქმის არ არსებობდა. ამ ომის შემდეგ-კი ამერიკელებს აზრადა აქვთ სულ სხვა გზას დაადგნენ. ჯერ ეხლავე პრეზიდენტი მაკ-კინლეი ვატსონის ძლიერ ესკადრას ევროპაში მარტო იმიტომ არა ჰგზავნის, რომ ესპანიის სანაპირო ქალაქები გაანადგუროს; უმთავრესი აზრი ამ ესკადრის გაგზავნისა ის არის, რომ ევროპას ამერიკის ძალა და ღონე დაანახვონ."

— მეამბოხეთა წინამძღოლს გარსიას შემდეგი წერილი გაუგზავნია გენერალ შაფტერისათვის: „კუბის რესპუბლიკის მთავრობამ მიბრძანა ამერიკის ჯართან ერთად ესპანელების წინააღმდეგ მებრძოლა. მე ყოველი ღონე ვიღონე, რომ ეს ბრძანება სისრულეში მომეყვანა: დღემდის თქვენი მორჩილი ვიყავი და ყოველსავე თქვენს ბრძანებას ვასრულებდი. მაგრამ თქვენ სრულებით არ მაცნობეთ ის პირობები, რა პირობებითაც ესპანელებმა სანტ-იაგო გადმოგვცეს. ყოველივე ეს მე მხოლოდ გაზეთებიდგან ამოვიკითხე. თქვენ ქალაქის მართვა-გამგეობის საქმე გადაეცით ესპანელებსვე, რომელთაც-კი სამი წელიწადია ვებრძოლებით, როგორც ჩვენ მოსისხლე მტრებს. გარდა ამისა ჩვენ ჯარის-კაცებს ქალაქში შესვლის ნება არ მიეცით, ამბობენ, თქვენ ქალაქის ავლებისა და აწიოკებისა გეშინოდათ და იმიტომ აღგვიკრძალეთ იქ შესვლა. მე არა მჯერა, რომ თქვენ ჩვენს შესახებ ასეთის აზრისა იყოთ. ხოლო თუ ეს ხმა მართალია, იმ შემთხვევაში ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გამოგიცხადოთ, რომ ჩვენ ველურები არა ვართ; კარგად ვიცით ომის წესი და რიგი. მართალია, ღარიბი ჯარის-კაცი ვართ, სწორედ ისეთი, როგორც თქვენი მამა-პაპანი იყვნენ დამოუკიდებლობისათვის ომის დროს, მაგრამ ჩვენ დიდად პატივსა ვცემთ იმ საქმეს, რა საქმესაც ვემსახურებით და არასოდეს ნებას არ მივცემთ ჩვენ თავს, რომ მხეცობითა და მტარვალობით ჩირქი მოვცხოთ მას. ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემის მთავრობის ბრძანებას ვეღარ აღვასრულებ. მე დღესვე ჯარი მთაში მიმყავს".

— ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ესპანიის ადმირალს სერვერს აზრადა აქვს, ზავის დადების შემდეგ, ესპანიაში აღარ დაბრუნდეს, არამედ სამუდამოდ ამერიკის ქალაქ ბოსტონში დასახლდესო.

— ამ დღეებში ესპანიის ჯარს გემებზედ დასხამენ და სანტ-იაგოდგან ესპანიაში წაიყვანენ. ჯარის გადაყვანა იკისრა ტრანსატლანტიის ნავოსნობის საზოგადოებამ. ხელ-შეკრულობის ძალით ამერიკის მთავრობამ უნდა მისცეს საზოგადოებას თითო ჯარის-კაცის გადაყვანაში 20 დოლლარი, ხოლო აფიცრისა 55 დოლ. სულ საზოგადოებამ უნდა გადაიყვანოს 24,000 ჯარის-კაცი და 1000 აფიცერი.

— როგორც უკანასკნელად მოსულის ცნობებიდგან სჩანს, ფილიპის კუნძულების მეამბოხეთა წინამძღოლი აგვინალდო აღარავის აღარ აქცევს ყურადღებას, აღარც ამერიკელებს, აღარც ესპანელებს და თავისის სურვილისამებრ განაგებს კუნძულებს. მან უკვე აღიარა ფილიპის კუნძულები დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და შეადგინა დროებითი მთავრობა. გაზეთების სიტყვით, აგვინალდო, მომავალი პრეზიდენტი მომავალის რესპუბლიკისა, სულ ახალგაზდა, 27 წ. კაცია. იმისი მამა ღარიბი მიწის მხვნელი იყო. აგვინალდომ განათლება ჯერ კოლეჯში მიიღო, შემდეგ მანილის უნივერსიტეტში, თუმცა ეს უკანასკნელი არ გაუთავებია. ბერებმა, რომელნიც განაგებენ ამ უნივერსიტეტს, უმიზეზოდ სდევნეს აგვინალდო და გამოაგდეს. ახალგაზდა კაცი სოფელში დაბრუნდა და მამის ხელობას შეუდგა. 1893 წელს მკურნალმა რიზალმა მანილში შეადგინა ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ფილიპის და ესპანიის მცხოვრებთა უფლების გათანასწორება ჰქონდა. მაგრამ მთავრობამ რიზალი დასაჯა და საზოგადოება მოსპო. არ გასულა ბევრი ხანი, რომ მეორე საზოგადოება დაარსდა. ამ საზოგადოებამ ორი თუ სამის თვის განმავლობაში 250,000 წევრი შეიძინა. მთავრობამ ახლა მას დაუწყო დევნა. სხვათა შორის საზოგადოების საქმეებში აგვინალდოც იღებდა მონაწილეობას, ამიტომ გუბერნატორმა სხვებთან ერთად იმის დაპატიმრებაც უბრძანა. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა იკისრა ესპანიის ერთმა აფიცერმა, რომელმაც თან 12 ჟანდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი ჯარის-კაცი წაიყვანა მაგრამ, როდესაც ეს ამერიკაში აგვინალდოსთან შევიდა, ახალგაზრდა კაცმა რევოლვერი დასცა და იქვე მოჰკლა, ხოლო ჯარის კაცებს პატრიოტულის სიტყვით მიჰმართა და თავისკენ მიიმხრო. ამ დღიდგან აგვინალდო არ დამცხრალა. დღეს იმის ჯარში 50,000 კაცზედ მეტი ირიცხება.

ინგლისის მხატვრობა

(საკუთარის კორესპონდენტისა)

მუნკასის სურათი „Ecce homo“ ლონდონში.

ავსტრიის ერთს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში ამ ჟამად სიკვდილის პირას არის დიდებული მხატვარი მუნკასი. ამ სახელოვანის მხატვრის დიდი და უკანასკნელი სურათი „Ecce homo“ ეხლა ლონდონში გამოფენილი და დიდძალ ხალხს იზიდავს. ეს სურათი უნგრეთის მხატვრისა მართლა რომ დიდის ყურადღების ღირსია, როგორც შინაარსით, ისე მშვენიერის ხელოვნებით. შესანიშნავი ისტორიული წამი, პილატემ რომ წარმოსთქვა: „აი ეს კაცი“ და მოესმა გამხეცებულის ხალხის ყვირილი „ჯვარს—ეცვნ! სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა!“ ...ეს წამი საოცრად არის გამოცემული ამ სურათით.

აგერ პილატე, ჩასხმული, პირ-მოპარსული შუა-ხნის რომაელი სდგას სასახლის აივანზედ და ამაოდ ესაუბრება გამძვინვარებულს ხალხს. ამ კაცს შეუძლიან და უნდა დაიბანოს კიდეც ხელი იმ უდიადესს დანაშაულში, რომლის აცდენა იმას ადვილად შეუძლიან.

პილატეს გვერდით სდგას თვით მაცხოვარი, წყნარისა, მშვიდის სახით. თვალნი მისნი თითქოს ვერა ჰხედავენ გამძვინვარებულს ხალხს, მოღრებულს მუშტებსა და მუქარას. „მამაო! მიუტევე ამათ; რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ ეს სიტყვები იხატება მაცხოვრის ბრწყინვალე სახეზე და არ ეტყობა არც სიამაყე, არცა შური, არცა შიში და ყოყმანი.

ჩინებული სურათია ეს უკანასკნელი სურათი მუნკასისა. ამ მხატვარის სხვა სურათებს შორის საუკეთესონი არიან: „უკანასკნელნი დღენი სიკვდილით დასასჯელისა“, „ქრისტე პილატეს წინაშე“ და სხვ.

ინგლისის საზოგადოებამ და კრიტიკამ სამართლიანად დააფასა ეს სურათი.

აქ იქნება მითხრან, ვინ მიანიჭა ინგლისელებს მხატვრობის კრიტიკის ნიჭიო? ამ ვაჭრებს და ზღვაოსნებს არაფერი გაეგებათ არც მხატვრობისა, და არც მუსიკისაო. თქვენ-კი იმათს კრიტიკაზე ძლაპარაკებითო! მართალი ბრძანებაა. ინგლისელები ვერ დაიკვეხნიან, რომ განვითარებულნი იყვნენ მუსიკისა, მხატვრობისა და საზოგადოდ ხელოვნების მხრივ. მაგრამ ეს მხოლოდ საზოგადოდ ითქმის ინგლისელებზე. რაც შეეხება განათლებულსა და განვითარებულ ნაწილს ინგლისის საზოგადოებისას, ასეთი აზრი უსამართლოა. ინგლისელებსა ჰყავთ სახელოვანი მხატვრები, აქვთ თავისი საკუთარი სკოლაც, თუმცა ისეთი მდიდარი არა, როგორც ფლამანდიისა და საფრანგეთისა, მაგრამ ეს სკოლა მაინც ღირსია ყურადღებისა და შესწავლისა.

ვ. მარველი

ნაკვესი

—

პოეტმა, რომელიც უფრო უნიჭობით იყო განთქმული, ვიდრე ნიჭით, თავისი ახალი პოემა მიუფერებელს კრიტიკოსს წაუკითხა და ბოლოს დასძინა:

— ერთს კვირაში დავწერე, რას იტყვით?

— იმას ვიტყვი, რომ ერთს კვირაში მაგისთანა პოემას ადვილად დაიწერება, მხოლოდ ერთი-კი არა, ორი, სამი და ოთხიც-კიო, უპასუხა კრიტიკოსმა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად ყველა ქვეყნებში ძლიერა ვრცელდება საწერი მანქანები. ზოგნი ამტკიცებენ, რომ შემდეგში ამ მანქანას უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე ბეჭდვის გამოგონებასაო. მერე რა არის მიზეზი საწერს მანქანების ასეთის გავრცელებისა? ჯერ ერთი, რომ საწერი მანქანა უფრო ლამაზადა და გარკვევით სწერს, ვიდრე ადამიანი დასწერს ხელით. მეორე—თვალი და ხელი ამ მანქანით წერის დროს ნაკლებად ეღლება კაცსა და მესამეც—ამ მანქანით კაცი გაცილებით უფრო ბევრს და მალე დასწერს, ვიდრე ხელით.

მწერლები მარკ ტვენი, ბრეტ-გარტი და პავლე ლინდაუ ამტკიცებენ, რომ საწერ მანქანით წერა უფრო გვირჩევნიან, ვიდრე ხელითა და იქნება ეს იყოს მიზეზი, რომ დასახელებულნი მწერალნი ძლიერ ბევრსა სწერენ.

პირველად საწერი მანქანა გამოიგონა მესტამბემ ლატამ შოლესმა, ხოლო ქარხანაში გაკეთებულ იქმნა 1873 წელს სახელოვანის მეხანიკოსის იოსტის მიერ. მაგრამ ეს მანქანა ისეთი კარგი არ იყო, როგორიც ეხლა ყველგან არის მიღებული, ე. ი, რემინგტონისა. რემინგტონის საწერ მანქანას ეხლა თითქმის ყველა კონცელარიებში ხმარობენ და ყველანი აქებენ ამ მანქანას. მაგრამ ზოგიერთები მაინც წუნსა სდებენ. ჯერ ერთიო, ამბობენ, რომ ძლიერ ძვირია 175—200 მანათი, დიდი ადგილი უჭირავს, მძიმეა. წერის დროს უსიამოვნოდ არახუნებს და ადამიანს წერისაგან თითები ეღლებაო. ეხლა ბევრი მეხნიკოსი სცდილობს ყველა ეს ნაკლი ააცილოს მანქანას და ზოგს იდევ იმედი აქვს, შეიძლება ელექტრონის ძალით ვამუშაოთ ეს მანქანაო.

* * *

გერმანიის ერთის გაზეთის სიტყვით, ჩინეთშიაც არის ერთი პაწია ქალაქი, რომელიც მონაკოს განთქმულს ქალაქს მონტე-კარლოს არ ჩამოუვარდება. ეს ქალაქი მაკაო არის, კონტონისაგან 115 ვერსის მოშორებით. მაკაო პორტუგალელებს ეკუთვნის. აქ სულ 80.000 მცხოვრები ითვლება და ამათში 10.000-იც არ იქმნება პორტუგალელი, დანარჩენები ჩინელები არიან. ქალაქი მაკაო განთქმულია ქაღალდისა და სხვა ყოველგვარ თამაშობით. ყოველ შაბათს ამ ქალაქში აუარებელი ხალხი მოდის სხვა-და-სხვა მახლობელ დიდ ქალაქებიდგან გემით თუ რკინის გზით ქაღალდის სათამაშოდ. რომელ სახლშიაც კი უნდა შევიდეს კაცი, ყველგან გაცხარებულს თამაშობას დაინახავს. მაკაოს ქალაქის მმართველობამ ამ სახლებს დაადო წელიწადში 460,000 მანათი. ჩინელებს გაგიჟებით უყვართ თურმე ქაღალდისა და სხვა ყოველ გვარი თამაშობა. რაც უნდა დაკონკილის ტანთსაცმელით მივიდეს კაცი სადმე სათამაშოდ, ყველგან ეტყვიან „მობძანდითო“. უფრო ძლიერ გავრცელებულია მაკაოში თამაშობა „ფან-ტამ“, რომელიც ცოტათი წააგავს მონტე კარლოს რულეტკას. „ფან-ტამს“ ასე თამაშობენ. ერთი ფიცარი ჯვარედინად არის გადახაზული. ერთს კუთხეს აწერია № 1, მეორეს №-2, მესამეს № 3 და მეოთხეს №-4. მოთამაშე ფულს დააწყობს რომელს კუთხეზედაც ჰნებავს და ბანკირი ხმა მაღლა აცხადებს, რამდენზე თამაშობს ეს კაცი და აგრეთვე კუთხის ნომერს. მოთამაშეს შეუძლიან ითამაშოს ერთის კაშიდგან) მეასედი კაპეიკისა) მოყოლებული 100 თუმნამდე. როცა ყველა დააწყობს ფიცარზე ფულს, რამდენზედაც თამაშობს, მაშინ მოიტანენ დიდძალ წვრილ ფულსა (კაშს) და მერე ამ ფულიდგან გადასთვლიან ოთხ-ოთხ კაშს. ბოლოს დარჩება ან ერთი, ან ორი, ან სამი, ან ოთხი კაში რამდენი კაშიც დარჩება, მოგება იმ ნომერის კუთხეს ეკუთვნის. ვსთქვათ დარჩა ორი კაში, მოგება იმ კუთხეს ეკუთვნის, რომელსაც №-2 აწერია. ვინც ამ კუთხეზე დააწყო ფული, ერთი სამად მეტს იგებს. ხოლო 7% მიაქვს „ბანკირს“. ხანდახან „ფან-ტამის“ თამაშობაში 200 კაცი იღებს ხოლმე მონაწილეობას და ბანკირები ისე არიან დახელოვნებული ანგარიშში, რომ ერთს წამში გამოიანგარიშებენ, ვის რამდენი მოგება უნდა მისცენ და თითონაც რამდენი ერგებათ.

გამოსადეგი ცნობა

მოწყვეტილის ვარდისა ან ყვავილის შენახვა ასე უნდა: ერთ ბოთლ უშაბო წყალში გახსენით სამი მისხალი ნიშადური და ამ წყალში ჩასვით ყვავილისა ან ვარდის ღერო. 2—3 კვირას კარგად შეინახება.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო: ცალკე წიგნად გამოცემული პოემა აკაკისა „გამზრდელი“, რომელიც პირველად აკაკისავე ჟურნალს „კრებულში“ დაიბეჭდა. წიგნი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 30 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

„ხალხური ანდაზები და გამოცანები“. შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან. წიგნში პირველად ან-ბანზედ დალაგებულია ანდაზები და შემდეგ გამოცანები. ეს წიგნი კარგს სამსახურს გაუწევს იმას, რომელიც ხალხურ ანდაზებისა და გამოცანების შეკრებას შესდგომია, რადგან თავიდგან აიცილებს უკვე შეკრებილისა და გამოცემულის ჩაწერვას და თითონ სხვა ანდაზ-გამოცანების შეკრებას შეუდგება. სწორედ ამ აზრით უძღვნია გამომცემელს ეს წიგნი სოფლის მასწავლებელთათვის, რომელნიც სხვაზედ უფრო ახლო სდგანან სოფლის ხალხთან. თითო წიგნი უფასოთ ეთმობათ სოფლის სასწავლებლებს, ისე ჰღირს ორ შაურად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 ივლისი

პეტერბურგი. დილის 10 საათსა და 25 წამზედ პეტრე-პავლეს ტაძარში მოვიდნენ რუმინიის მეფე და მემკვიდრე პრინცი ამალითურთ. მეფემ მუხლთ მოიდრიკა და მცირედ ილოცა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრეს საფლავზედ და გვირგვინებით შეამკო ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე II-ისა, ალექსანდრე მე III ისა და დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის საფლავები. $10^3/_4$ საათზედ მეფე და მემკვიდრე ფერდინანდი წავიდნენ ისააკის ტაძარში, საიდგანაც შეიარეს გარეშე საქმეთა მინისტრთან, უცხო სახელმწიფოთა ელჩებთან, მიტროპოლიტ პალლადისთან, ჰნახეს ყაზანის ტაძარი და წავიდნენ რუმინიის საელჩოში. საელჩოში მისვლის შემდეგ მეფემა და მემკვიდრემ მიიღეს ისინი, ვინც უნდა წარდგენოდნენ. შემდეგ გაიმართა საუზმე 32 კაცისათვის. საუზმეს დაესწრნენ მინისტრები, სასახლის ზოგიერთი უმაღლესი მოხელე, პეტერბურგის ქალაქის უფროსი, კომენდანტი, გუბერნატორი და ბუქარესტში გამწესებული ელჩი რუსეთისა.

16 ივლისი

პეტერგოფი. საღამოს 8 საათზედ, პეტერგოფის დიდს სასახლეში გამართულ იქმნა სადილი. შუა ადგილები დაიჭირეს ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა. მისის უდიდებულესობის დედოფლის მარჯვენა მხარეს დაბრძანდა რუმინიის მეფე და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული; მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის მარცხენა მხარეს—დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და რუმინიის ტახტის მემკვიდრე.

სენტ-პოლი. სენატის კომისიის პრეზიდენტმა დევისმა სიტყვა წარმოსთქვა. დევისმა სთქვა, რომ „შეერთებულმა შტატებმა აზიის საქმეთა მსვლელობაში მხნე მონაწილეობა უნდა მიიღოს და ან თავის სანაპირო ადგილებს დაუბრუნდეს და მოემზადოს ისეთის თავს-დასხმის მოსაგერებლად, როგორმა თავს დასხმამაც ჩინეთი აწინდელ მდგომარეობამდის მიიყვანა. აშკარაა, რომ შეერთებული შტატები უნდა ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გარდიქცეს. ზოგიერთნი ჯერ ისევ გუშინ, გუშინ-წინ ამაყად ლაპარაკობდნენ ჩვენისა და ესპანიის საქმეში ჩარევის შესახებ, მაგრამ ეხლა შესამჩნევად დაიდაბლეს ხმა“.

ვაშინგტონი. მინისტრთა საბჭომ ესპანიის საპასუხოთ, ზავის შემდეგი პირობანი შეიმუშავა: პორტო-რიკო უნდა უეჭველად დაეთმოს ამერიკას; ესპანიამ კუბაზედ ხელი უნდა აიღოს; შეერთებულ შტატებს უნდა დაეთმოს კუბისა და პორტო-რიკოს მახლობლად მდებარე ზოგიერთი უმნიშვნელო კუნძული; გადაწყვეტილება ფილიპეს და იმ მხრის სხვა კუნძულების შესახებ დამოკიდებული იქმნება შემდეგ მოლაპარაკებაზედ. ეს საპასუხო მუხლები უნდა განიხილოს კაბინეტმა.

პარიჟი. გამომძიებელმა ბერტილიუსმა რესპუბლიკის ბრალდმდებელს გადასცა თავისი აზრი, რომელშიაც აცხადებს, რომ საქმე ესტერგაზისა და დიუპატი-დე-კლამისა—ორი სხვა-და-სხვა საქმეა, თუმცა ორივე ერთის გარემოებით არის გამოწვეული.

იმის გამო, რომ ზოლა საპატიო ლეგიონის სიიდგან გამორიცხულ იქმნა, ჟიულ ბარბიემ განაცხადა აღარა მსურს ლეგიონის აფიცრის წოდებაო.

ნიუ-იორკი. პორტო-რიკო ამერიკელებს დაემორჩილა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო საღამოს სადილზედ: *)

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	— „	— „	217
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	$97^1/_2$	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	— „	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	$100^1/_2$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	$100^1/_4$	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	$288^3/_4$
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	— „	— „	$249^1/_4$

წერილი რედაქციის მიმართ

დიდად შეწუხებული იყო მთელი ჩვენი მხარე მით, რომ ხიდები და საჭირო ბოგირი არ იყო ვაყის წყალზედ და ამის გამო გომის სადგურამდე მისვლა-მოსვლას დიდი დაბრკოლება ეძლეოდა. ეს დაბრკოლება კარგა ხანია უკვე აცილებულია. ჩემის თხოვნით საჭირო ხე-ტყე შემოსწირეს ტყის პატრონთ: თ. მიხეილ ამირეჯიბმა, თ. სარდიონ ამირეჯიბმა, თ. რეზო ამირეჯიბმა და ლიდო და ვასო ბაგრატიონ-დავითიშვილებმა. შემოწირული ხე-ტყე ალის საზოგადოების გლეხობამ ჩამოზიდა ტყეებიდან.

საჭირო ფული შემოსწირეს: თ. მიხეილ ამირეჯიბმა—30 მ., თ. სარდიონ ამირეჯიბმა—10 მ., თ. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილმა—10 მ., თ. სოსიკო თარხნიშვილმა—10 მ., ალექსი კიკნაძემ—10 მ., იორდანე სიხარულიძემ—20 მ., აკოფოვმა (ბორჯომში მცხოვრ.)—10 მ., ბერძენმა (იქვე მცხოვრებელმა)—10 მ., ჯანუევმა—10 მ., ყულიჯანოვმა—11 მ., თ. ივ. ბეგთაბეგომა—5 მან., თ. გიგა ბეგთაბეგოვმა,—5 მ., თ. როსიკო ამირეჯიბმა—5 მ. როსტომბეგოვმა—5 მ., მიხა გოგატიშვილმა—5 მ., ვასილ კალატოზოვმა—3 მ., იორდანე ბაიაშვილმა—3 მ., ალის მღვდელმა მაჭარაშვილმა—3 მ., მღვდელმა ტერ-დავითიანცმა—3 მ., იორდანე უროტაძემ—3 მ. და მე თითონ შევწირე 79 მ. სულ 250 მან.

ამ ფულიდგან ოსტატებს მიეცა 210 მან. დანარჩენის 40 მანეთისა ლურსმანი მოუნდა ორს ხიდსა და ერთს ბოგირს. გულითადს მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, ვინც ფულისა და ან ხე-ტყის შემოწირულობით ხელი მოგვიმართა იმისთანა კეთილისა და სასარგებლო საქმისათვის, როგორიც არის ორის ხიდისა და ერთის ბოგირის გაკეთება ისეთს გზაზედ, რომელზედაც თითქმის შეუწყვეტელია მგზავრი.

თ. ლუკა ბეგთაბეგიშვილი

სოფ. ვაყა.

„ივერიის“ ფოსტა

ქ. ო—თი. თ. დ—შვილს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

პარ-ნარს. არ დაიბეჭდება.

ბუცა მეტკვრისპირელს. თქვენის ნაწერისათვის თქვენვე დაგირქმევიათ სახელად ლექსი, თორემ ისე ძნელად თუ ვინმემ ლექსად იცნოს.

---

*) ეს დეპეშა ღამის $2^1/_2$ საათზედ მივიღეთ და დაგვიანებისა გამო ყველას დაბეჭდვა ვერ მოვასწარით.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Іюля. 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.